



მინდია არაბული
ყოველი ამბის
დასასრული

მინდია არაბული
ყოველი აგვის დასასრული

რედაქტორი: ლექსო დორეული



წიგნი გამოიცა საქართველოს კულტურის,
სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს
ხელშეწყობით.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2021
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-704-6

[www.diogene.ge](http://www.dioгене.ge)

სარჩევი

კოლო.....	7
თავკომბალების შესახებ.....	23
მცხეთა-თბილისის ეპარქიის კოსმოსური პროგრამის გამოწვევები და თავისებურებები	42
თეთრი გველი.....	66
იახსარი	91
ყოველი ამბის დასასრული	125

კოლო

იოვანე მოქანცული მონასტრის გალავნიდან ღამის უკუნს უყურებდა. ღამის უკუნიც უბრუნებდა იოვანეს მზერას იმისი იმედით, რომ პირქუში ბერი პირველი დაახამხამებდა, მაგრამ იოვანეს ბოლო ორმოცი წელია, რაც თვალეები ერთ უცვლელ მდგომარეობაში ჰქონდა – ნახევრად გახელილი.

სხვა ბერებს თავ-თავის კელიებში ეძინათ და ერთმანეთთან შეუთანხმებლად, წყნარად, ერთი სიმშვიდით სუნთქავდნენ. მხოლოდ განაპირა სენაკიდან მოდიოდა ხშირ-ხშირი, შფოთიანი სუნთქვა. მორჩილი თეოფანე ჩვიდმეტი წლისა იყო და სიზმრებში მაცდურები მარტივად უძვრებოდნენ, ხოლო კვირადღეს, როცა ეშმაკები ღმერთს ჯოჯოხეთში ჰყავს გამოკეტილი, თეოფანეს სარკმელში მთვარე აღწევდა და ახლა ის უხშირებდა გულისცემას. თუმცა ამ დღეს ცაზე არამხოლოდ მთვარე, არამედ ერთი გაქცეული ვარსკვლავიც კი არ გამოჩენილა. გალავანზე აღმართულ დროშას ღამის ნიავი არხევდა, მერე კი იოვანე მოქანცულის მოსასხამს ეხებოდა მსუბუქად, რაც იმისი ერთადერთი მანიშნებელი იყო, რომ ბერი გალავნის ნაწილად ჯერ კიდევ არ ქცეულა. ნიავი ნელ-ნელა ძლიერდებოდა, დროშა ფრიალებდა და თეოფანეც უფრო შფოთავდა ძილში. როცა უცებ მოვარდნილმა ქარმა დროშა მოწყვიტა და გაიტაცა, ხოლო უხამსი სიზმრისგან შეცბუნებულმა თეოფანემ ცივ ოფლში გაიღვიძა, ღამემ საბოლოოდ გადაწყვიტა იოვანესთან დამარცხების აღიარება და უკუნის სიშორეში სინათლის წერტილი

გამოაჩინა. იოვანემ ცოტა ხანი უყურა სინათლეს, ხოლო, როცა დარწმუნდა, რომ თვალები არ ატყუებდნენ, შებრუნდა მონასტრის სიღრმეში.

ბრუნდებოდა ძმა ბასილი.

ბრუნდებოდა ძმა ბასილი და მკერდზე რამდენიმე თოკით შეკრული, რამდენიმე ნაჭერში გახვეული ფუთა ეკიდა. ფუთაში ვერცხლის პატარა ზარდახშა ჰქონდა, ხოლო ამ ზარდახშაში იყო ის, რისთვისაც ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ, შუა იანვარში იოვანე დაქანცულმა კონსტანტინოპოლს მიაგვლინა.

ქრისტეს შობიდან 33 წელს, ხოლო სიკვდილიდან სულ რამდენიმე საათში იოსებ არიმათიელმა და ნიკოდიმოსმა (რომელსაც სხვა მოციქულები გვართ არ მოიხსენიებდნენ) ქრისტეს სხეული ჯვრიდან ჩამოხსნეს, გაახვიეს სუდარაში და წაასვენეს აკლდამაში. დაკრძალვის წინ იოსებ არიმათიელმა ქრისტეს სისხლი ააგროვა ფიალაში, რომელსაც მოგვიანებით წმინდა გრაალის სახელი მიეცა და რომელსაც მთელი საქრისტიანო თავდადებით ეძებდა.

მაგრამ მამა ბასილის თავისი ფუთით გრაალი არ მოჰქონდა. ჯერ ერთი, გრაალზე ზედმეტად ბევრი მეფე, რაინდი, ბერი და ორდენი ნადირობდა. უმწიკვლო სულის კაცნიც უმსგავსო საქმეებამდე დასულან, სინმინდე რომ ხელში ჩაეგდოთ. ის მეორე, გრაალის ძებნას საუკუნეები დასჭირდებოდა, საიდუმლო საძმოების შექმნა, ეზოთერიკისა და ცაზე ვარსკვლავთა გადაადგილების მეცნიერებათა დასწავლა. ვარსკვლავები კი არ იყო სანდო საქმე, თუნდაც ასეთი კუნაპეტი ღამეების წყალობითაც. და მესამე – ბევრმა არ იცოდა, რომ როცა იოსებ არიმათიელი აკლდამას შიგნიდან აწყობდა, უფალს ჩვენსას მკლავზე დედალი კოლო დააჯდა და სათანადო დატირების შემდეგ გაციებულ კანში ნესტარი ჩაასო. ნიკოდიმოსმა კოლო დაინახა და უმაღვე ანია ხელი მწერის მოსაგერიებლად, მაგრამ გასრესა ველარ გაბედა, რამეთუ კოლო უკვე მაცხოვრის სისხლით იყო სავსე. ნიკოდიმოსმა (რომელსაც ჯიბეში მუდამ ეყარა თხილი, მაგრამ მოციქულები არც ამას წერენ) კოლოს თხილის ნაჭუჭის ნახევარი დააფარა, ფრთხილად მოხსნა ქრისტეს მკლავი-

დან და მერე მეორე ნაჭუჭიც მიაკრა. მაცხოვრის დაღუპვისადა გამო უიმედობისა და სიმწრისგან დამძიმებულმა იოსებ არიმათიელმა აღარ ჰკითხა ნიკოდიმოსს, რა მიზეზით ახტა იგი მოულოდნელად, როცა იოსები აკლდამიდან გამოვიდა ან თუნდაც ზურგს უკან რას მალავდა. თუმცა, რომც ეკითხა, საფიქრალია, რომ ნიკოდიმოსი სხვა პასუხს მოიფიქრებდა. ასეა თუ ისე, იმ საღამოს, დაახლოებით ექვსის ნახევარზე სამყაროში გაჩნდა ქრისტიანული სამყაროს კიდევ ერთი რელიკვია, რომელსაც განსაკუთრებით ჩახედული თეოლოგები მცირე გრაალის სახელით იცნობენ.

თხილის ნაჭუჭი ნიკოდიმოსმა ძაფით შეკრა და გულსაკიდში შეინახა. ორიოდე თვის მერე, მოციქულმა გაბედა და გახსნა ნაჭუჭები. ძალიან აღარც გაჰკვირვებია, როცა კოლო ცოცხალი აღმოჩნდა. ბოლო-ბოლო მას შემდეგ, რაც საკუთარი თვალებით დაინახავ, როგორ ამალღდა ცაში ის, რომელიც ორმოციოდე დღის წინ მკვდრეთითაც აღდგა, ერთი უკვდავი კოლო მაგდენად შთამბეჭდავი ვეღარ იქნება. და სწორედ ეს დღეა უკანასკნელი წერტილი, როცა აპოკრიფული ტექსტები მცირე გრაალის ადგილსამყოფელს ასახელებენ. აქედან ნაჭუჭისა და კოლოს ისტორია უკვალოდ იკარგება. მართალია, კი ტივიტივდება ხოლმე რომელიმე ხალხების სიმღერებში და შაირებში, მაგრამ შაირები უტიფარ გულთა გასახარებელი ხელოვნებაა და მათზე დაყრდნობა, მითუმეტეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც უფლის სისხლის პოვნაა, რომელიმე ბინიერ ფუნდუკში შეგვაგორებს, სადაც ხორხოციით დაგვიცინებენ კიდევ ასეთი გულუბრყვილობისთვის. ამიტომაც, რომ დიდი ხანი იყო, რაც აღარავინ ეძებდა მცირე გრაალს და ნელ-ნელა უფლის სისხლზე მონადირეთა მესხიერებიდანაც ამოიშალა.

მამა ბასილი უკვე ჭიშკარს იყო მომდგარი. ცოტა ხანი ცხენიდან არ ჩამოდიოდა, შავ გალავანს ათვალიერებდა. მერე კი ხელი ფრთხილად მიიტანა მკერდთან და ფუთას დაადო. ზარდახშიდან რამდენიმე ავმა ზრახვამ გამოაღწია, ფუთა გამოარღვია და მამა ბასილის მკერდში შეძვრა. „ყველას სძინავს“ – გაიფიქრა მამა ბასილი. „გზა რომ გავაგრძელო ჩემი, ეგონებათ, რომ ბერძნებმა და-

მიჭირეს და ცოლი შემრთეს ან გამატყავეს. დამივიწყებენ მალე და ვერც... მაგრამ ამ დროს, მამა ბასილის სულში ძრომილისას, ავი ზრახვები 50-ე ფსალმუნს გადააწყდნენ. წმინდა სინათლით იფეთქა ბერის სულში წლობით ნაწრთობმა ფსალმუნმა და ავი ზრახვები ადგილზე გადაბუგა. ჩამოხტა ცხენიდან მამა ბასილი, მიუახლოვდა მონასტრის ჭიშკარს და როგორც კი მესამედ დააკაკუნა, ზუსტად იმ წამს შესრულდა მეორმოცე წელი დღიდან, როცა იოვანე მოქან-ცულმა მცირე გრაალის შესახებ შეიტყო.

იმ დროს იოვანე უდაბნოში მარხულობდა, მზისგან დაბუგულ ქვებზე ლესავდა თავისი სულის სიმტკიცეს. გამოქვაბულებში ეძინა, საათობით იჯდა კლდეების ჩრდილში, ქვიშაში გველხოკერების სრიალში ღმერთის სიტყვების გრამატიკას ეძებდა.

ქვების ძირში დაბუდებული უწმინდური სულები ღამით ზედაპირზე გამოდიოდნენ და აფთრის ხმებით იწყებდნენ ყეფას. გარიჟრაჟზე კი, როცა მზე ამოსვლას იწყებდა, ისეთი ადგილებიდან იწყებდნენ მანჭვასა და როკვას, რომ პირდაპირ იოვანეს წინ ბილნ ჩრდილებს ეცეკვათ. მაგრამ იოვანეს სული დილის ცასავით აუღელვებელი იყო. ერთხელაც კი, როცა ექვსკიდურა მაცდურებმა ყველა ხელი ჩაიქნიეს ბერის შეცბუნებაზე, იოვანემ ხორციელი შეამჩნია შორს. დიდხანს ახლოვდებოდა ადამიანი, იმდენად დიდხანს, რომ ბერი დარწმუნდა – ეშმაკი ვერ იქნებოდა. ეშმაკებს მაგდენი მოთმინება არ ჰქონდათ. მგზავრი ჩრდილში შემოვიდა და იოვანეს წინ დადგა.

– კაპადოკიაში ვიყავი, ხე ვნახე გამხმარი. – თქვა მგზავრმა მისალმების მაგიერ. – ბალი იყო ირგვლივ ქლიავის. ყვაოდა ყველაფერი. ეს ხე კი იდგა ამ სიმწვანეში და ასი წლის ბერიკაცის ძვლებით თრთოდა.

იოვანემ ამოხედა მგზავრს. უცნაური ტანისამოსი ეცვა. ტყავის ქამრებით ჰქონდა მკერდი გადაჭიმული. დაშნა ეკიდა მხარზე.

– ალექსანდრიიდან მოვდივარ – გააგრძელა მგზავრმა. კომპუჩურა მაქვს იქ. ვარსკვლავებს ვაკვირდები. კაბადონის გეომეტრიას ვხაზავ ქვიშაში. სამყაროს ვითვლი.

უნდა ეპასუხა იოვანეს, მაგრამ მრავალთვიანი უტყევობის შემდეგ ყელმა ხმა ვეღარ ამოუშვა.

– რამ მოგიყვანა აქ? – ჰკითხა იოვანემ, მას შემდეგ, რაც მგზავრის გამოწოდებული მათარიდან მოსვა.

– კაპადოკიაში ქლიავის ხე ვნახე, გამხმარი. არ უნდა ყოფილიყო გამხმარი. ხომ გეუბნები, სამყაროს ვითვლი-მეთქი. თუ რამე ხდება აქ, ჩვენს სამყაროში, მიზეზი უდევს უკან. ყოველთვის ასეა. ეს ხე კი არცერთი წესით არ უნდა ყოფილიყო გამხმარი. გამოთვლა დავინწყე, რატომ გახმა. აღმოჩნდა, რომ ფესვები თხუნელამ დაუკვნითა. არ იქცევიან თხუნელები ეგრე. დავინწყე თხუნელას გათხრილი გვირაბების დათვლა. აღმოჩნდა, რომ სხვა გვირაბებს უერთდებოდა. არც ეგრე უნდა ხდებოდა. მერე წყალი გავუშვი იმ გვირაბებში. ქალაქის ახლოს კლდიდან დაინყო გადმოჟონა. ხედები, რას ვამბობ?

იოვანემ თავი გააქნია.

– რას ვამბობ და, ერთხელ, ერთ დღეს რალაცა მოხდა. არასწორად მოხდა, არ უნდა მომხდარიყო ეგრე. უკან-უკან რომ მიყვები იმ ხის კვალს, იმასა ჰგავს, ნიადაგის ქვეშ ჩადებულ თოქს რომ ამოქაჩავ ნელ-ნელა. აქამდე ყველა უჩვეულო გაფუჭების პირველმიზეზები დათვლილი გვექონდა. აი, მეფის შვილი რატომ მოკვდა? – იმიტომ, რომ ათას სამასი წლის წინ ჭა გაჭრეს წმინდა ადგილას. ტაძარი რატომ ჩამოინგრა? – იმიტომ, რომ ორი საუკუნის წინ ერთმა მღვდელთმთავარმა მწყემსი ბიჭი შეაცდინა. მდინარე რატომ აზვავდა? – იმიტომ, რომ დიდი წვიმა მოვიდა გუშინწინ. მაგრამ ამ გამხმარი ხის ამბავი რომ დავითვალე, სულ სხვა რამე ვიპოვე.

– რა იპოვე? – ჰკითხა იოვანემ.

– სისხლი ვიპოვე. შენი ღმერთის სისხლი. – უპასუხა მგზავრმა და იმავ წამს ყველა მხრიდან აფთრების ხარხარის ხმა გაისმა.

„წრეზე დადის ყველა“ – უყვებოდა მგზავრი იოვანეს. ეს ჩემმა მასწავლებელმა დაითვალა და მითხრა. ყველაფერი და ყველა წრეზე დადის. ადამიანები, საგნები, მნათობებიც. იმას მეუბნებოდა ჩემი მასწავლებელი, ღმერთიც კი წრეზე დადის, ოღონდ ეგ იმიტომ, რომ ბოლთას სცემსო. იმ გამხმარი ქლიავის ამბავი უკან-უკან რომ დავითვალე, გამოვიდა, რომ პირველმიზეზი შენი ღმერთის დაკარგული სისხლი იყო. ოღონდ ის არა, სხვები რომ ეძებენ. იმას ცალკე ვითვლით, ყოველ წამს მიმართულებას იცვლის, ერთი ბიბლიოთეკა გვაქვს ნახაზებით გავსებული და შვიდასი კაცი ყარაულობს მთელ მიწაზე იმის გამოჩენას. მაგრამ ეს მეორე სისხლი თავის წრეზე მიდის. არსად უხვევს, არსად იკარგება. არ ვიცი, ახლა სად არის ან სად იქნება. მარტო ის დავითვალე, რომ ერთი დღეა, როცა იმ დაკარგული სისხლის გზას ვილაცა სხვა ხორციელის გზა უახლოვდება. არ კვეთს, მაგრამ ძალიან, ძალიან ახლოს მიდის. დავთვალე, გამოვყევი იმ ხორციელის წრეს და აგერ შენ მოგადექი.

იოვანე ჩუმად იყო.

ვიცი მე, რომ, ალბათ, წმინდა კაცად იქცევი, თუ უდაბნოში განაგრძობ ყოფნას. ნეტარი რამე იქნება. სამყაროს მტვერი არ გეკრობა. უბრალოდ ისიც უნდა იცოდე, რომ აქ, ამ შენი უტყვად ჯდომის ადგილას იმოდენა სინმინდე კი არა, დაკარგული მერცხალიც არ გამოიფრენს. წასვლა მოგიწევს, ღვანლი მოგიწევს. თუ ხვალ, მზე რომ ამოვა, კვლავაც აქ იქენი, ჩათვალე რომ სამარად-ჟამოდ დაკარგე.

ჩუმად იჯდა იოვანე.

მგზავრიც ელოდა ცოტა ხანი, ელოდა. მერე კი თავი დააქნია თავისთვის და გააგრძელა გზა.

სალამოსკენ კლდეზე ჩრდილები მოქუჩდა. ჩრდილებიდან ავსულები ამოიზარდნენ და დაიწყეს ჩვეული როკვა. კისკისებდნენ, ყირაზე გადადიოდნენ და გმინავდნენ. რამდენიმე საათი გრძელდებოდა ასე, როცა ერთ-ერთმა უჟმურმა, ადამიანის თმის ნაწნავები

რომ გადმოსდიოდა პირიდან, შემთხვევით შეამჩნია, რომ კლდის ძირი ცარიელი იყო. უფრო ახლოს მივიდა, დააკვირდა.

იოვანე აღარ ჩანდა.

განყრა უჟმური, გასივდა უჟმური, ყველა ლანძღვა ერთიანად მოადგა ყელში, მაგრამ სიტყვები არ ეყო და ბაყაყი გადმოაფურთხა. მერე კი შეტრიალდა და ისე წავიდა, რომ სხვა ავსულებს არც არაფერი უთხრა.

რვა წლის წინ, როცა მონასტერს მწარე შიმშილობა დაეცა, ძმა ბასილიმ მახლობელ მდინარეში დიდი ორაგული დაიჭირა. მეოთხე დღე იყო, რაც ბერები შიმშილობდნენ, როცა ბასილიმ ღვთის საჩუქრის შესახებ ამცნო. სანამ ორაგული იხარშებოდა, სამიო სატრაპეზოს მაგიდის ირგვლივ იჯდა და საკუჭნაოდან გამოსული ოხშივრით ივსებდა მოთმინებას. ახლანდელი ბერებიდან მხოლოდ მორჩილი თეოფანე არ ესწრებოდა ამ ამბავს. ცხრა წლის იყო მაშინ და მონასტრიდან აღმოსავლეთით მეოთხე სოფელში კალიებს აჩხუბებდა ერთმანეთთან. ჯერ არც მამამისი გაუთელია აწყვეტილ კამეჩს და არც დედა დამუნჯებულა სიმწრისგან. თეოფანეც კი არ ერქვა ჯერ – ბაჭუას ეძახდნენ და მთელი სამყარო მარტო ორი კალიის ჭიდაობისგან შედგებოდა. ოთხი სოფლით დასავლეთით და რვა წლით გვიან კი, მონასტრის სატრაპეზოში მამა ბასილიმ ზუსტად იმ წერტილში დაასვენა აბრეშუმის ძაფებით შეკრული თხილის ნაჭუჭი, სადაც ოდესღაც მოხარშული თევზი იდო. ადგილებიც ისე იყო განანილებული, როგორც რვა წლის წინ და თეოფანე ისევ არ ესწრებოდა საიდუმლოებას. უბრალოდ, ამჯერად კალიებთან თამაშის სანაცვლოდ, მთელი ღამის ნაფორიაქებს, გარიჟრაჟზე მიეძინა და ბერებმაც აღარ გააღვიძეს.

ვერავინ ბედავდა საუბრის დანყებას. სატრაპეზოში მხოლოდ მამა ევლამპის ნაავადმყოფარი სუნთქვის ხრიალი ისმოდა. დანარჩენი ბერები გარინდებულები უყურებდნენ თხილის ნაჭუჭს, თითქოს ელოდნენ, რომ თავისით გაიხსნებოდა.

– არ დადის ჩემს გონებამდე. როგორ შეიძლება ისე დატ-
რიალებულიყო ცარგვალი, რომ აქ, ამ კუშტ სატრაპეზოში, ჩვენს
ცოდვით სახსე და უღირს თვალთა წინ აღმოჩენილიყო თუნდაც
ერთი წვეთი უფლისა ჩვენისა... – ჩაილაპარაკა არსენ მედავით-
ნემ.

მამა ამბროსი შეიშმუშნა. არ მოეწონა არსენის სიტყვები. არ
მიაჩნდა, რომ მთლად ასე უღირსები იყვნენ. ბოლო-ბოლო ორმოცი
წელი შეახარჯეს ამ პატარა თხილის მოძიებას. სამოდან ვიღაცები
ვერც მოესწრნენ, ვიღაცებმა ვერ გაუძლეს და წავიდნენ. და ვინც
აქ დარჩა ბოლომდე, რატომ გამოდიან უღირსნი? – ამას ფიქრობდა
მამა ამბროსი, მაგრამ ხმამაღლა კი ეს თქვა.

– უფალი მონყალეა.

მამა ევლამპი გადმოიხარა მაგიდაზე.

– უფლის ნების გარეშე წვიმის ერთი წვეთიც კი არ ეცემა მი-
წაზე. უფლის ნებით მოხვდა მისი სისხლი აქ. ახლა მთავარია, იმას
მივხვდეთ, ვინაა ღირსი, რათა ნაჭუჭი გახსნას.

– რა ფიქრებია ეს? – თქვა მედავითნე არსენმა. – რას ამბობ,
ძმაო ევლამპი, რა გახსნაზე საუბრობ?

– შენ რას ამბობ, მაშ? – მიუტრიალდა მამა ევლამპი.

ყველა მედავითნეს უყურებდა. არსენმა ნერწყვი გადაყლაპა
და წამოიწია.

– ჩვენ ცხოვრების ბოლომდე მარტო იმისი მადლიერნიც უნდა
ვიყვეთ, რომ ამ ნაჭუჭის ახლოს ვსხედვართ, საუკუნეები გამოხდა
და არავის გაუბედია ასეთი რამე და რა სინდისით უნდა გავხსნათ
ჩვენ? ლუსკუმა უნდა აუეგოთ და დავაბრძანოთ მონასტრის მიჩუ-
მებულ საიდუმლო ნაწილას, ვაი, რომ რამე არვინ გაბედოს, მოტა-
ცება ანდაც წარყვანა.

– შიში გალაპარაკებს, ძმაო არსენ – თქვა მამა ამბროსიმ –
რწმენა კი არა. ტალანტების დამმარხვლად არ გაქციოს, იფრთხილე.

– როცა კონსტანტინოპოლიდან წერილი მოვიწერე – დაიწყო
მამა ბასილიმ – წერილი რომ მოვიწერე კონსტანტინოპოლიდან,
იმისი იმედით გამოვგზავნე, რომ სანამ ჩამოვაბრძანებდი სისხლის

წვეთს უფლისა ჩვენისა, უკვე მოითათბირებდით, როგორ მოვ-
ქცეულიყავით.

– ძმაო ბასილი, ბრალს გვდებ რამეში თუ? – ამოლო ხმა აქამ-
დე ფიქრებში ჩაძირულმა მამა ევსტათემ.

– მხოლოდ იმას ვამბობ, რომ სანამ მშიერ-მწყურვალნი მხეცვებს
გავურბოდი, სანამ საიდუმლოდ მეკობრეთა გემით ვკვეთდი ზღვას,
სანამ ბერძენ ქურდებსა ავაზაკებს ვემალეობდი ქურჩა-ქურჩა, სანამ,
ღმერთო შემინდე და, ტყუილითა და ცრუ დაპირებებით თვალდაო-
სებულ სალოსს ჩვეულებრივი თხილი შევატყუე წმინდა საგნის მა-
გიერ, მაგ დროში რამე გადაწყვეტილების შემზადება მაინც შეგეძ-
ლოთ.

ბერები ჩუმად ისხდნენ.

– გული გაგიუხემა ერთი მოგზაურობამ, როგორც ვხედავ, ძმაო
ბასილი. – თქვა მამა ევსტათემ. მაგრამ მართალიც ხარ. სტუმრად
უდიდესი სინძინდე მოდიოდა ჩვენთან, ჩვენ კი ისევ საკუთარი სუ-
ლების გადარჩენაზე ვზრუნავდით. ასე რომ, შენ ყველაზე მეტად
ხარ ღირსი, რათა გადაწყვიტო, როგორ მოვიქცეთ. შევინახოთ, თუ
არა. გავხსნათ, თუ დავმარხოთ.

მამა ბასილიმ გულისჯიბიდან თუთუნნი ამოიღო და კბილზე
დაიდო.

– არ ვარ ღირსი. და შენც მართალი ხარ, ძმაო ევსტათე.
ოთხი წელი ქვეყნად ბოდიალი საკმარისი აღმოჩნდა, რათა შემომ-
ძარცვოდა ყოველი, რაც ბერისთვის ჯერ არს. ზედმეტად ბევრი
საერო ცოდვა დამიგროვდა. წესით, მუხლებზე უნდა ვიდგე და
ვქვითინებდე თქვენ წინაშე. მაგრამ არც ეგ მინდა. არ ითხოვს
ჩემი გული მონანიებას. აღარ მანუხებს. მაგრამ თუ გაინტერე-
სებს, ზუსტადაც ერის კაცის თვალთ გეტყვი. მთელი საქრის-
ტიანო უფლის სისხლს ეძებს. კათოლიკეთ რაზმები დათარეშობენ
მთელს მსოფლიოში, ყოველ ქვას აყირავებენ, ყველა ქოთანში იჭ-
ყიტებიან. თან განა მხოლოდ კათოლიკენი? ჩემს გზაზე არაბთა
და ინდოთა ქარავნებიც შემხვედრია, რომლებსაც ვარსკვლავ-
თმრიცხველნი აპკიდებოდნენ, ყველას თავისი გამოთვლილი გზი-

სა სწამს, იმათ ჰგონიათ, რომ რაკი ერთ ფიალა ქრისტეს სისხლს იპოვიან, ის უფრო დიდი მონაპოვარი იქნება ვიდრე ერთი წვეთი. მე მკითხვე და გეტყვი, რომ ადამიანური სისულელეა ეგ. ღმერთის აზომვა და აწონა ვის გაუგია. თან ეგრეც რომ იყოს, ისინი ჯერ კიდევ ძებნაში არიან, ჩვენ კი აგერ, წინ გვიდევს. მოკლედ რომ მოვუქციო, იმისი თქმა მინდა, რომ მთელს სამყაროს შეგვიძლია გავავგონოთ ხმა, რომ უფლის სისხლი აქ არი, ამ მიწაზე. ყველას ეცოდინება, რომ ღმერთმა ეს კუნჭული გამოარჩია, არა კათოლიკენი, არცა ბერძენნი, არც ებრაელები და არცა რომელიმე შორეული მიწები, არამედ აგერ, ჩვენ, ერთი ბენო ხალხი. ამიტომაც, ძმაო არსენი, არ მჯერა მე შენი შიშისა. არ შეიძლება ასეთი სინმინდის სამყაროსგან დამალვა. მითუმეტეს, რომ თუკი მომლოცველთა ზღვანი მოგვანყდებიან, ჩვენი მიგდებული და უპატრონო სოფლებიც ჩაისუნთქავენ ცოტა, ვის საყუდელი დასჭირდება, ვის საგზალი...

– მეც მაგას ვამბობ, ძმაო ბასილი – უპასუხა მედავითნემ – წარმოიდგინე, რომ მთელი საქრისტიანო დაიწყებს აქ სიარულს. ზღვა ხალხი მოვა. შენ იფიქრე ახლა, იმ ზღვაში რამდენი ავი თევზი იქნება, რამდენი მზაკვარი, ურჯულო, მარტო იმ ზრახვით მოსული, რომ იქილიკოს ჩვენს სინმინდეზე, როგორ გამოარჩევ კეთილ მარცვალს მავნისაგან, რას ეტყვი ღმერთს?

– ღმერთს ჩემი და შენი დაცვა რომ სჭირდებოდეს, ძმაო არსენი, რამენაირად დილითვე შეგვატყობინებდა, არ ფიქრობ? – თქვა მამა ბასილიმ და სანამ მედავითნე მკრეხელობაში ამხელდა, მამა ამბროსიმ შეანყვეტინა საუბარი:

– მე მგონია... – თქვა მამა ამბროსიმ – მე მგონია, რომ მაგ საკითხის გადანყვეტა უფრო მარტივადაც შეგვიძლია. ექვსნი ვართ ამ ოთახში. კარგად ვიცნობთ ერთმანეთს. აქამდე ერთად მოვედით. ამიერიდანაც ერთად გვინევს ყოფნა. მე მგონი, რომ თუ ყველა თითო სიტყვას იტყვის, დასტურისა ან უარყოფის, მერე კი დავთვლით და უმეტესი რაც იქნება, ისე მოვიქცევით, სამართლიანიც გამოდგება და არც შუღლს ჩამოაგდებს ჩვენში.

– რა სიტყვებია ეს, მამა ამბროსი... – გაუფართოვდა თვალები მედავითნეს – საღვთო საქმის გადწყვეტას კენჭისყრით ამბობ? შევიშალეთ ყველანი, თუ რა დაგვემართა?

– სამართლიანობას ვამბობ. – მოუჭრა მამა ამბროსიმ და სხვა ბერებს გადახედა.

მამ, მოდი ასე. ვისაც სჯერა, რომ ნაჭუჭის ამბავი უნდა გავ-
თქვათ, ხელები აწიონ იმათ.

მამა ბასილიმ, ევლამპიმ და თავად ამბროსიმ ხელები აწიეს. მედავითნე არსენი მრისხანედ იყურებოდა ოთახის კუთხიდან. მამა ევსტათეს მაგიდაზე ეწყო ხელები. ხოლო მონასტრის წინამძღვარი, იოვანე დაქანცული სიბნელეში იჯდა ჩუმად და მთელი ეს დრო თხილის ნაჭუჭისგან თვალი არ მოუცილებია. მამა ამბროსი ახლა მიხვდა, რომ იოვანე სულ დაავინყდა და მისი ადგილი დაიკავა. თუმცა იოვანეს დავინყება ძნელი არ იყო. ცოტა უნდა დაგეძაბა კიდევ მხედველობა, ბნელ ოთახში კედლიდან რომ გამოგერჩია.

– ძმა ევსტათე – თქვა ყრუ ხმით წინამძღვარმა. – შენ რატომ არ აწიე ხელი?

– მე კი მსიბლავს ის აზრი, მამა იოვანე, რომ საქრისტიანოს მექად შევიქნებით. არ მგონი, რომ არ ვიყოთ ღირსები. უბრალოდ, სწორი თქვა მედავითნე არსენმა. ათასი ჯურის ხალხი მოვა აქ და ღმერთს კი ვერ დააკლებენ რამეს, მაგრამ აი ჩვენს ხალხს კი წარყვნიან. სოფლებს ბაზრობებად აქცევენ, სათამაშო სახლებს და სხვა სიბილწეებს შემოიტანენ.

– ძმაო ევსტათე, რატომ გგონია, რომ უფლის სისხლის სანახავად გამგზავრებულ მომლოცველობას იმისი ერთი სული აქვს, რომ გზადაგზა იყომარბაზოს? – წამოიძახა მამა ბასილიმ.

– ეშმაკი ყველას ებრძვის, ვინც წმინდა გზაზეა შემდგარი – უპასუხა ევსტათემ.

– მამ, შენ სულაც დავინყებული ეყოლები – ჩაილაპარაკა მამა ბასილიმ და სანამ ევსტათე შეეპასუხებოდა, მამა ამბროსი წამოიწია.

– ქრისტე დაფარულად არ მოსულა და არც წასულა, ძმაო ევსტათე. არ გგონია, რომ ათი კაცის სულის გადარჩენა ერთის წარწყმედას გადაწონის?

მედავითნემ ოთახის ბოლოდან შემოსძახა:

– ვის თქუენგანსა კაცსა ედგას ასი ცხოვარი და წარუწყმედეს მას ერთი მათგანი, არა-მე დაუტევენესა ოთხმეოც და ათცხრამეტნი იგი უდაბნოსა ზედა და წარვიდეს წარწყმედულისა მისთვის, ვიდრემდე პოოს იგი?

– არა, არა, სულ სხვა რამეზეა ახლა ეგ იგავი და ნუ რევ ამ ამბავში – მიუტრიალდა მამა ამბროსი და მერე ისევ ევსტათეს დაუბრუნდა.

– გომბიო მაზის მკერდზე – წამოიძახა უცებ მამა ევლამპიმ. ყველა გაჩუმდა და შეტრიალდნენ მისკენ.

მამა ევლამპი მძიმედ წამოიწია და გადმოეყრდნო მაგიდას.

– წინა წელს რომ სიცივე ავიკიდე, თუ გახსოვთ? მეთქი მომირჩება მალე. მაგრამ გამიგრძელდა ერთი კვირა, ორი კვირა. მერმე ხველება გამიძნელდა. ღამ-ღამობით სუნთქვა დამიმძიმდა. არ ვიღებდი ყურად, მაგრამ აგერ, ბოლო თვეა და ყოველ დახველებაზე ფილტვის კოლტებს ვაგდებ. გომბიო მაზის მკერდზე და მიჭამს ნელა-ნელა.

– რას ამბობ, ძმაო ევლამპი?

– იმას, რომ ჩემი ამბავი კი იცით. ან თუ არა, ვიტყვი, რომ თორმეტისა რომ შევიქენი, მამინ მიპოვა მამა იოვანემ. თორმეტი წლისა წამოვედი სახლიდან, ჯერ ათასგან ვიარეთ, მერე კი ათასი დღე ეს საყუდელი ვაშენეთ.

– ძმაო ევლამპი... – ევსტათემ ამოიღო ხმა – არ კი მინდა, რომ შენი ამბავი შევაჩერო, მაგრამ ისე გამოდის, რომ მაგ მონაყოლით ოროცდათორმეტი წლისა შეიქმენი წელს.

– სწორედაც მაგას ვამბობ – დააქნია ევლამპიმ თავი – და არც დაგძრახავ, თუ სხვანაირად გგონია. ძვლები ნაადრევად დამიჩანჩალაკდა, კანი ნაადრევად მომიმჩვარდა. გომბეშო მაზის მკერდზე, გუებნები აკი. წლებია, რაც ჩემს ფილტვებში იზრდებოდა, ჩემს

წილ ჰაერს იპარავდა. ახლა კი ვზივარ ასე და ვფიქრობ, ეგება და ღმერთმა აქამდე მარტო იმიტომ მაცოცხლა, რომ კიდევ ერთხელ მოევიდნა სასწაული, ეგება და ჩემი სენის განდევნა შეეძლოს წმინდა სისხლს... მაგრამ რომც არ იყოს ასე, ბალობას როგორც კი გადმოვბიჯე, მთელი ცხოვრებაა, ამ თხილის კაკლის გამოჩენას ველოდი. ველოდი და ველოდი. ახლა კიდე, როცა აგერ აქ დევს, მეუბნებით, რომ არც კი გავხსნითო. თვეები დამრჩა მე. ეგება კვირებიც კი. და არ მომაკვდინოთ ისე, რომ მთელი ცხოვრების მწყურვალს მარტო შორიდან დამანახოთ წყარო წმინდა. და თუ იქ მისულს, უფალი მკითხავს, რად ჩაიდინე ასეთი ცოდვა, რად ქენი არსაქმნელიო, იმასთან პასუხგასაცემი უკვე მე ვიქნები.

ჩუმაღ ისხდნენ ბერები. მხოლოდ მედავითნე არსენი ცმუკავდა.

– ძმებო. წმინდა მამანო – თქვა მამა ბასილიმ. – არ არის ჩვენი რწმენა სიმხდალის რწმენა. და არც ჩვენი ღმერთია წარმართთა ბომონი, გადაცდომად რომ ჩაგვითვალოს ამოდენა სიყვარული და სასტიკი სასჯელი მოგვივლინოს. ძმა ევლამპი, სარკმლებს ქალაღლი ააკარი. ძმა ამბროსი, დახედე სადმე ღრიჭო არ იყოს გასაძრომი, ძმა ევსტათე, შენ სანთლები აანთე, მე კი ნაჭუჭს გავხსნი.

– მკრეხელობა, ბასილი! დაიყვირა მედავითნემ – აღარ ხარ შენ ბერი! თუთუნს ლეჭავ, სამყაროს მტვერი აიკიდე ფეხზე, აღარ ხარ ბერი!

– სამაგიეროდ, მე ხომ ვარ – წამოდგა ამბროსი – მე გავხსნი.

– ეშმაკი გჭამს და სიამაყე, მამა ამბროსი, ადრეც უნდა მეთქვა, პირფვარსაც კი არ იწერ, როგორც წესია, ლოცვებზე აგვიანებ, განა ვერ ვამჩნევ მე! თქვი რამე, მამა იოვანე! თქვი რამე, გენნაში გინდა, რომ მთელი მონასტერი ჩავარდეს? ამოიღე ხმა, რა ბრძენკაცობას თამაშობ! – ყვიროდა არსენი, მაგრამ აღარავინ უსმენდა. – წაუღიხართ ჯანდაბასაც და ეშმაკებსაც! არ ვიქნები ამ ცოდვის ოთახში მე! ჯოჯოხეთში დაილუპებით ყველანი, შენ პირველი იქნები, მამა ევლამპი, ჯოჯოხეთში დაილუპებით და მე არც გადმოგხედავთ!

გაიჭახუნა კარი მედავითნემ და გაიქცა.

რვა წლის წინ, ზუსტად ამ დროს, დღის ამ საათში სატრაპე-
ზოს მაგიდაზე მოხარშული ორაგულისგან მხოლოდ ფხებიღა იყო
დარჩენილი. მამა ევსტათე სარკმელში იყურებოდა, მამა ამბროსი
თევზის ჩონჩხს ათვალეირებდა, მამა ბასილი თვალდახუჭული იჯ-
და მაგიდასთან, მამა ევლამპი სარკმლიდან შემოსულ სხივს ეთამა-
შებოდა ფეხით, მედავითნე არსენი კიბეებზე ჩარბოდა, ფსალმუნე-
ბი რომ გადაემეორებინა, იოვანე დაქანცული კუთხის სიბნელიდან
იყურებოდა, ოთხი სოფლით აღმოსავლეთით ბიჭუა კამეჩებს ერე-
კებოდა ეზოში. ოთხი სოფლით დასავლეთით და რვა წლის შემდეგ
კი მამა ამბროსიმ შეხსნა თხილის კაკალს აბრეშუმის ძაფები და
ორი ნახევარი ნელ-ნელა დააშორა ერთმანეთს.

ჯერ არაფერი მომხდარა. სატრაპეზოში შემორჩენილ სინათ-
ლეზე თავად ნაჭუჭებიც ძლივს ჩანდა, არათუ შიგთავსი. ბერები
მხოლოდ სიშავეს ხედავდნენ, თითქოს თორმეტი საუკუნის განმავ-
ლობაში ნაგროვები სიბნელე ამ ნაჭუჭების შიგნით შედედდა. მერე
კი, როგორც კი მამა ამბროსის მწარე ეჭვის პირველი მარცვალი
აენვა სულში, ნაჭუჭების კუნაპეტი აკლდამიდან კოლომ ფეხი გა-
მოყო. მწერმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ფრთები შეარხია
ოდნავ. მცირე წერტილად ჩანდა კოლო, მაგრამ როცა ღრიჭოდან
შემოჭრილი სხივის სინათლეში მოექცა, უკვე ყველამ დაინახა, რომ
გამჭვირვალე მუცელი სისხლით ჰქონდა სავსე. მამა ბასილიმ სუნ-
თქვა შეანელა, მამა ამბროსიმ სულაც შეწყვიტა, მამა ევლამპის
ცრემლები აუგორდა ქუთუთოებზე, ხოლო მამა ევსტათემ გონე-
ბაში ანგელოსთა სახელების ჩამოთვლა დაიწყო, რათა საიდანმე
გამკრთალ შფოთიან ფიქრს კოლო არ დაეფრთხო.

იოვანე მოქანცული ყველაზე მოშორებით იდგა, მზერა კოლო-
ზე გაეშტერებინა, მისი მეხსიერების თვალი კი უდაბნოს სივრცეში
მიმავალ ალექსანდრიელ ვარსკვლავთმრიცხველს უყურებდა. ცდი-
ლობდა იოვანე ზუსტად იმ წამის გახსენებას, როცა განდეგილო-
ბის მიტოვება გადაწყვიტა; ბოლო აზრის დაჭერას, რის შემდეგაც
წამოდგა და გზას გაუდგა. მაგრამ ყველაფერი ბუნდოვანებასა და
ქვიშის ქარებში იყო ჩაკარგული. გონებაში მხოლოდ მგზავრის